სატენდერო შემოთავაზება შპს ქართული ცემენტი

1. კომპანიის შესახებ

შპს ქართული ცემენტი საქართველოში 2006 წლიდან ოპერირებს და წამყვან ბრენდს წარმოადგენს ცემენტის და ბეტონის ადგილობრივ ბაზარზე. კომპანია ფლობს კლინკერის და ცემენტის ქარხნებს კასპში და რუსთავში, ცემენტის წისქვილს ფოთში, ცემენტის ტერმინალს სუფსაში, ინერტული მასალების საწარმოს და ბეტონის ქარხნების ქსელს.
შპს ქართული ცემენტი-ს შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ
ლინკს: **http://www.hunnewellcement.ge**

მიმდინარედ კომპანიაში დასაქმებულია 1169 თანამშრომელი.

2. საბაზისო პაკეტის აღწერა

პაკეტში შემავალი მომსახურებები	**ვარიანტი I**	**ვარიანტი II**	**ვარიანტი III**	**მზღვეველის მონაწილეობა**
ფატალური უბედური შემთხვევა: უბედური შემთხვევის გამო დასაქმებულის სამუშაო ადგილზე ან უბედური შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში გარდაცვალება; დაზღვეულის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება	6,000	30,000	50,000	100%
მძიმე უბედური შემთხვევა: უბედური შემთხვევის გამო მუდმივი შრომისუუნარობის განვითარება ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება	6,000	30,000	50,000	სქემის მიხედვით (იხ. ქვემოთ)
მძიმე უბედური შემთხვევა: უბედური შემთხვევის გამო დროებითი შრომისუუნარობის განვითარება 40 კალენდარულ დღეზე მეტი ხნით	100 ლარი	100 ლარი	100 ლარი	თითოეულ სამუშაო დღეზე არაუმეტეს 10 ლარისა
საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევა: უბედური შემთხვევის გამო დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით 3 დღიდან 40 დღემდე	100 ლარი	100 ლარი	100 ლარი	თითოეულ სამუშაო დღეზე არაუმეტეს 10 ლარისა
მსუბუქი უბედური შემთხვევა: უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვის გარეშე	10 ლარი	10 ლარი	10 ლარი	10 ლარი
მსუბუქი უბედური შემთხვევა: უბედური შემთხვევის გამო მსუბუქი დაზიანება შრომისუნარიანობის დაკარგვით არაუმეტეს 3 დღისა	30	30	30	თითოეულ სამუშაო დღეზე არაუმეტეს 10 ლარისა
წლიური აგრეგირებული ლიმიტი ერთ დაზღვეულზე	6,000	30,000	50,000	
წლიური აგრეგირებული ლიმიტი კომპანიაზე	30,000	180,000	300,000	

აგრეგირებული ლიმიტი მასობრივ უბედური შემთხვევაზე უბედური შემთხვევის გამო 3 ან მეტი ადამიანის დაშავება, მათ შორის 1 ფატალური ან 1 მძიმე უბედური შემთხვევა	30,000	100,000	100,000	

3. დამატებითი პირობები და კომენტარები

3.1. ***უბედური შემთხვევის დაზღვევა სამუშაო მოვალეობის დროს:***

3.1.1. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ეს მოდული. დაფარული უნდა იყოს უბედური შემთხვევის დადგომისას კანონმდებლობით გაწერილი ყველა რისკი;

3.1.2. ზუსტად უნდა იყოს გაწერილი მოთხოვნილი დოკუმენტაციის ჩამონათვალი გარდაცვალების ან მუდმივი შრომისუუნარობის დადგენის შემთხვევაში;

3.1.3. ხელშეკრულებაში უნდა ჩაიდოს შემდეგი პუნქტი: "დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხდება დაზღვეულის ოჯახის წევრის (დაზღვეულის მეუღლე, მშობელი, შვილი, გერი, ან დაზღვეულ პირთან მუდმივად მცხოვრები პირი) სასარგებლოდ";

3.1.4. რამოდენიმე ოჯახის წევრის არსებობის შემთხვევაში მოსარგებლის ვინაობას განსაზღვრავს ორგანიზაცია;

3.1.5. ასევე მემკვიდრეობის ძალაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელს არ ჰყავს ოჯახის წევრი;

3.1.6. ამონაწერი სტაციონარული ბარათიდან არ უნდა იყოს სავალდებულო და ამ საბუთის არ ქონის შემთხვევაში უარი არ უნდა ეთქვას ანაზღაურებაზე;

3.1.7. ანაზღაურებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალში არ უნდა იყოს სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა.

4. **სადაზღვევო ანაზღაურება**

4.1. **სრული მუდმივი შრომისუუნარობა / ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება**

4.1.1. მხედველობის სრული დაკარგვა ორივე თვალში - 100%;
4.1.2. განუკურნებელი ფსიქიკური აშლილობა - 100%;
4.1.3. ორივე მკლავის ან ხელის დაკარგვა - 100%;
4.1.4. სმენის სრული დაკარგვა ორივე ყურში უბედური შემთხვევის გამო - 100%;
4.1.5. ერთი მკლავის და ერთი ფეხის დაკარგვა - 100%;
4.1.6. ერთი მკლავის და ერთი ტერფის დაკარგვა - 100%;
4.1.7. ერთი მტევნის და ერთი ტერფის დაკარგვა - 100%;
4.1.8. ერთი მტევნის და ერთი ფეხის დაკარგვა - 100%;
4.1.9. ორივე ფეხის დაკარგვა - 100%;
4.1.10. ორივე ტერფის დაკარგვა - 100%.

4.2. **ნაწილობრივი მუდმივი შრომისუუნარობა / ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება**

4.2.1 თავი

4.2.1.1 თავის ქალას ძვლების დაზიანება (არანაკლებ 6 კვადრატული სანტიმეტრი) – 40%;
4.2.1.2 თავის ქალას ძვლების დაზიანება (3-დან 6 კვადრატულ სანტიმეტრამდე) – 20%;
4.2.1.3 თავის ქალას ძვლების დაზიანება (3 კვადრატულ სანტიმეტრზე ნაკლები) – 10%;
4.2.1.4 ქვედა ყბის ნაწილობრივი დაზიანება, ზედა ყბის დისექცია (სრული ან ნაწილობრივი) – 40%;
4.2.1.5 ერთი თვალის დაკარგვა - 30%;
4.2.1.6 სმენის სრული დაკარგვა ერთ ყურში - 30%.

4.2.2 ზედა კიდური

4.2.2.1 ერთი მკლავის ან ერთი მტევნის დაკარგვა (ერთი ხელი) – 50%;
4.2.2.2 მხრის ძვლის მნიშვნელოვანი დაზიანება (სრული და განუკურნებელი დაზიანება), (ერთი ხელი) – 40%;

4.2.2.3 ზედა კიდურების სრული დამბლა (ნერვის განუკურნებელი დაზიანება) (ერთი ხელი) – 55%;
4.2.2.4 მხრის სახსრის უმოძრაობა (ერთი ხელი) – 30%;
4.2.2.5 იდაყვის სახსრის ანიკლოზი ფუნქციურ მდგომარეობაში (მართი კუთხიდან 15 გრადუსით) (ერთი ხელი) – 20%;
4.2.2.6 იდაყვის სახსრის ანიკლოზი ფუნქციურად არახელსაყრელ მდგომარეობაში (ერთი ხელი) – 35%;
4.2.2.7 წინამხრის ძვლის მნიშვნელოვანი დაზიანება (სრული და განუკურნებელი დაზიანება) (ერთი ხელი) – 30%;
4.2.2.8 შუათანა ნერვის სრული დამბლა (ერთი ხელი) – 35%;
4.2.2.9 სხივის ნერვის სრული დამბლა იდაყვის სახსრის ამოვარდნისას (ერთი ხელი) – 35%;
4.2.2.10 სხივის ნერვის სრული დამბლა წინამხრის დონეზე (ერთი ხელი) – 25%;
4.2.2.11 სხივის ნერვის სრული დამბლა მტევნის დონეზე (ერთი ხელი) – 15%;
4.2.2.12 იდაყვის ნერვის სრული დამბლა (ერთი ხელი) – 25%;
4.2.2.13 სხივ-მაჯის ანკილოზი ფუნქციურ მდგომარეობაში (მტევანი გასწორებული, ხელისგული შიგნით) (ერთი ხელი) – 15%;
4.2.2.14 სხივ-მაჯის ანკილოზი ფუნქციურად არახელსაყრელ მდგომარეობაში (მოხრილი ან გასწორებული მტევანი, ხელისგული გარეთ) (ერთი ხელი) – 20%;
4.2.2.15 მტევნის დიდი თითის დაკარგვა (ერთი ხელი) – 15%;
4.2.2.16 მტევნის დიდი თითის ნაწილობრივ დაკარგვა (საფრჩხილე ფალანგი) (ერთი ხელი) – 5%;
4.2.2.17 მტევნის დიდი თითის სრული ანკილოზი (ერთი ხელი) – 15%;
4.2.2.18 მტევნის საჩვენებელი თითის ამპუტაცია (ერთი ხელი) – 10%;
4.2.2.19 მტევნის საჩვენებელი თითის ორი ფალანგის ამპუტაცია (ერთი ხელი) – 8%;
4.2.2.20 მტევნის საჩვენებელი თითის საფრჩხილე ფალანგის ამპუტაცია (ერთი ხელი) – 3%;
4.2.2.21 მტევნის დიდი და საჩვენებელი თითების ერთდროული ამპუტაცია (ერთი ხელი) – 30%;
4.2.2.22 მტევნის დიდი და სხვა რომელიმე თითის ერთდროული ამპუტაცია საჩვენებელი თითის გარდა (ერთი ხელი) – 20%;
4.2.2.23 მტევნის ორი თითის ამპუტაცია საჩვენებელი და დიდი თითის გარდა (ერთი ხელი) – 10%;
4.2.2.24 მტევნის სამი თითის ამპუტაცია საჩვენებელი და დიდი თითის გარდა (ერთი ხელი) – 17%;
4.2.2.25 მტევნის სამი თითის ამპუტაცია მათ შორის დიდი თითი (ერთი ხელი) – 35%;
4.2.2.26 მტევნის ოთხი თითის ამპუტაცია დიდი თითის გარდა (ერთი ხელი) – 12%;
4.2.2.27 შუა თითის ამპუტაცია (ერთი ხელი) – 8%;
4.2.2.28 არათითის და ნეკის ამპუტაცია (ერთი ხელი) – 5%;
4.2.2.29 საჩვენებელი თითის ანკილოზი (ერთი ხელი) – 10%;
4.2.2.30 შუა თითის ანკილოზი (ერთი ხელი) – 4%;
4.2.2.31 არათითის ან ნეკის ანკილოზი (ერთი ხელი) – 3%.

4.2.3 ქვედა კიდური

4.2.3.1 ბარძაყის ამპუტაცია ზედა ნახევარში (ერთი ფეხი) – 60%;
4.2.3.2 ბარძაყის (ქვედა ნახევარი) ან წვივის ამპუტაცია (ერთი ფეხი) – 50%;
4.2.3.3 ტერფის სრული დაზიანება (ტიბიოტარზალური ეგზარტიკულაცია) (ერთი ფეხი) – 45%;
4.2.3.4 ტერფის ნაწილობრივი დაზიანება (ქუსლის ძვლის ეგზარტიკულაცია) (ერთი ფეხი) – 40%;
4.2.3.5 ტერფის ნაწილობრივი დაზიანება (ტარზალური ეგზარტიკულაცია) (ერთი ფეხი) – 35%;
4.2.3.6 ტერფის ნაწილობრივი დაზიანება (მეტატარზალური ეგზარტიკულაცია) (ერთი ფეხი) – 30%;
4.2.3.7 ქვედა კიდურების სრული დამბლა (ნერვის განუკურნებელი დაზიანება) (ერთი ფეხი) – 60%;
4.2.3.8 საჯდომი ნერვის სრული დაზიანება (ერთი ფეხი) – 20%;
4.2.3.9 მენჯ-ბარძაყის სახსრის ანკილოზი (ერთი ფეხი) – 20%;
4.2.3.10 მუხლის სახსრის ანკილოზი (ერთი ფეხი) – 40%;
4.2.3.11 ბარძაყის ძვლის სრული დაზიანება ან წვივის ორივე ძვლის დაზიანება (განუკურნებელი მდგომარეობა) (ერთი ფეხი) – 60%;
4.2.3.12 მუხლის ნაწილობრივი დაზიანება და სირთულე გადაადგილებისას ფეხის გამართვის დროს (ერთი ფეხი) – 40%;
4.2.3.13 მუხლის ნაწილობრივი დაზიანება გადაადგილების უნარის შენარჩუნებით (ერთი ფეხი) – 20%;
4.2.3.14 ქვედა კიდურის დამოკლება 5 სანტიმეტრზე უფრო მეტით (ერთი ფეხი) – 30%;
4.2.3.15 ქვედა კიდურის დამოკლება 3-დან 5 სანტიმეტრამდე (ერთი ფეხი) – 20%;
4.2.3.16 ქვედა კიდურის დამოკლება 1-დან 3 სანტიმეტრამდე (ერთი ფეხი) – 10%;
4.2.3.17 ტერფის ყველა თითის ამპუტაცია (ერთი ფეხი) – 25%;
4.2.3.18 ტერფის ოთხი თითის ამპუტაცია დიდი თითის ჩათვლით (ერთი ფეხი) – 20%;
4.2.3.19 ტერფის ოთხი თითის ამპუტაცია დიდი თითის გარეშე (ერთი ფეხი) – 10%;

4.2.3.20 ტერფის დიდი თითის ანკილოზი (ერთი ფეხი) – 10%;
4.2.3.21 ტერფის ორი თითის ამპუტაცია (ერთი ფეხი) – 5%;
4.2.3.22 ტერფის ერთი თითის ამპუტაცია დიდი თითის გარეშე (ერთი ფეხი) – 3%;
4.2.3.23 ტერფის ერთი თითის ანკილოზი დიდი თითის გარეშე (ერთი ფეხი) – 2%;
4.2.3.24 ტერფის ორი თითის ანკილოზი დიდი თითის გარეშე (ერთი ფეხი) – 3%;
4.2.3.25 ტერფის ოთხი თითის ანკილოზი დიდი თითის გარეშე (ერთი ფეხი) – 5%.

4.3. შენიშვნა 1 კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შესაძლებელია ანაზღაურდეს სხვა დაზიანებებიც, რომლებიც კომპეტენტური სამედიცინო დაწესებულებების/კომისიის მიერ შეფასდება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად.

5. საკონტაქტო ინფორმაცია

5.1. ტენდერთან დაკავშირებით:
ნინო ბერიძე
ტელ: 558106501
ელ. ფოსტა: nino.beridze@cement.ge

ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტზე დეტალებთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში შესაძლოა დაგიკავშირდეთ შპს სადაზღვევო საბროკერო ჯი.ესის წარმომადგენელი.